„მუშათა გათავისუფლება — მუშათასაქმეა“

ახალი ნაკადი

სააქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაძებრალთა კავშირის ორგანო

ფასი 1 მან.

№ 25 კვირა 11 მაისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართული კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

თბილისი მაისის 11 1919 წ.

ერთი პასუხი. ეს ერთი თვეა, ჩვენს საზოგადოებაში და პრესაშიაც მაისის შეშინებული საუბარი, რომ ინგლისელები ეპირებიან საქართველოს ოკუპაციასო. ჩვენ ამ ხმებს ექვით ვისმენდით და ვფაქრობდით, ჩვეულებრივად ავრცელებდენ ჭორებს ჩვენი ქვეყნის ორგულნი და მოძულენი-თქო. მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ მითქმა-მოთქმას მაინც ააქვს საფუძველი. გუშინწინ დამფუძნებელ კრებაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. გეგეჭკორის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ძლიერად მოსჩანდა პესიმისტური ჰანგები და ირიული გაურკვევლობა ინგლისელების ჩვენდამი დამოკიდებულებაში.

მართლაც რა სურს ამ დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჩვენს ქვეყანაში?

რისთვის გვეწვიენ, სამტროდ თუ საძმოდ?

იქნებ ამ კითხვებზე პასუხს ამას წინად „ბორბა“-ში მოყვანილი „ტაიმსის“ კორესპონდენტის აზრი გვეუბნებოდეს.

ჩვენ კარგად ვიცნობთ დიდი იმპერიალისტური ქვეყნების დიდი გაზეთების კორესპონდენტებს, რომელთა წერილების მიხედვით ეცნობა ინგლისის საზოგადოება პატარა ერებს და ამ გაცნობაზე ამყარებს თვის საერთაშორისო პოლიტიკასაც. ეს გონებისა, სინიდისისა და კალმის „კომივოიაჟორები“,— კაპიტალისტური რეჟიმის ზნედაცემული მსახურნი, უფრო ვეცხლისა და ოქროს მონები დაძრწიან ქვეყნიდან ქვეყნად და ანგარების მიხედვით ამუშავებენ „განათლებული“ ევროპის „ხანათლებულ“ შეხედულებას. მათის განსაზღვრით ერთი ერი ღირსია დამოუკიდებელი ცხოვრებისა, მეორე კი სიკვდილისა, მესამე დამონებისა, ერთ ქვეყანაში რევოლიუციის მამალი ადრე ჰყივის, ამიტომ ეს ქვეყანა დასჯილ უნდა იქნას და სხვ.

ერთი სიტყვით ეს ამუსით მოვაჭრე გაქექილი ხალხი ერთის ხელის მოსმით სწყვეტს ხშირად რომელიმე ერისათვის საარსებო საკითხებს.

ასე იქცევა „ტაიმსის“ კორესპონდენტი. იგი თვის წერილს დაასკვნის იმ წინადადებით, რომ საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის ოკუპაცია უნდა მოახდინონ ინგლისელებმაო.

ჩვენ არ ვიცით, ასევე მსჯელობს თუ არა ინგლისელების მთავრობაც და აქტიური ლაშქრობის სარდლობა, მაგრამ ერთი რამ კი გარკვეულად უნდა ითქვას. ქართველმა მშრომელმა ხალხმა დიდი წამების შემთეგ მიიღო ეროვნული თავისუფლება, ეზიარა საერთაშორისო მოძრაობას და დღეს სოციალურ რევოლიუციას შეჰხარის, და ვინ უნდა განიზრახოს მისი დამონება, იგი ყველას გაბედულად ეტყვის: შორს სისხლიანი და ბინძური ხელები! განა შეუძლია ქართველ მშრომელ ხალხს კვლავ მოიხაროს ქედი და ლაჩრულად დაემორჩილოს უხეშ და უგნურ ძალას?

არასოდეს.

ჩვენის ერმა რწმენით, ძვირად დაუჯდება ყველა ძალას, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი ქართველი ხალხის დამონება და დაჩაგვრა, რადგან საქართველოს მუშათა კლასი განურჩევლად ეროვნებისა, გულმკერდით შეხვდება ჩვენი ქვეყნის ჯალათებს და ერთხელ კიდევ იტყვის უკვდავი შოთას სიტყვებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი საფელოვანიო“,

მომავლის მოლოდინში.

მომავლის თანამედროვე ისტორიული პროცესი დაემსგავსა მრავალთავან ჰიდრას, რომელსაც მრავალი დასაწყისი აქვს და ბოლო კი არსად, დასასრული მისი წყვდიადით არის მოცული. ხუთი წლის გამანადგურებელი ომი კატასტროფიული გამოდგა ევროპისათვის. ვინც ომის ქარცეცხლში ხედავდა თავის პრივილეგიების, კაპიტალის განმტკიცებას ანგარიშში მოსტყუვდა, ომმა მოულოდნელად გამარჯვების ისარი მისკენ გადახარა ვისთვისაც იმდროინდელი ძლიერნი ამა ქვეყნისა სულ არაფერს ანდა ძლიერ ნაკლებს ფიქრობდნენ. ბურჟუაზიული გაბატონებული კლასების მიერ დაწყებული ავანტიურა მსოფლიო ომის სახით ჩაგრულთა, მაშვრალთა და პროლეტარულ კლასების გამარჯვებით თავდება ასეთ სიმპტომებს იძლევა ევროპის რევოლიუციის და პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობანი.

ჩვენი ქვეყანა მოწყვეტილია ევროპას, მისკენ სამზერი სარკმლები მჭიდროდ ამოფისულია, ჩვენ სისრულით არ ვიცით რა ხდება ევროპაში ან გამარჯვებულ ან დამარცხებულ ქვეყნებში. ჩვენ ვერც მას ვხედავთ, რაგვარი ღრუბლები იკრიფება კულტურულ ქვეყნების ჰორიზონტზე, დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვგრძნობთ და ევროპიდან კანტიკუნტად მოსულ ცნობებიდან ვტყობულობთ, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე ბურჟუაზიის იდეოლოგები გედის სიმღერას ღიღინებენ, უკანასკნელ ძალას იკრებენ, რომ სიკვდილის წინ მძლავრად გაიფორთხიალონ და თავისი ხსოვნა ისტორიის არხივს ჩააბარონ. სდგება ახალი ხანა ხანა კაცობრიობის გარდაქმნისა, ახალი ცხოვრების დასაწყისისა. რა ფორმებში ჩამოყალიბდება საბოლოოდ კაცობრიობის დღევანდელი მჩქეფარე მოძრაობა ძნელი წარმოსადგენია. ცხოვრება ისე ჩქარის ნაბიჯით მიდის, საზოგადოებრივი ერთი მოვლენა ისე სწრაფად და სხარტად სცვლის მეორე მოვლენას, რომ ისტორიული პროცესის ყურის დევნებაც კი გაძნელდა. სინამდვილემ ბევრად გაუსწრო ადამიანთა აზროვნებას და ვერც ერთი სხარტი პოლიტიკოსი ვერ იტყვის, თუ რას მოგვიტანს ისტორიის ხვალინდელი დღე. დღევანდლამდე ყოველი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე თავის მიზანს ასრულებულად სთვლიდა, თუ იგი შეძლებდა მოვლენათა შორის კავშირი და თანდათანობრივობა გამოერკვია. ძველი დროის მეტაფიზიკა მხოლოდ მოვლენათა კანონების ძიებაში იყო. ახლა მსჯელობის და ძიების დრო აღარ არის. საჭიროა მხოლოდ ცხოვრებას ალღო ავუღოთ იქ, სადაც აუცილებლობა მიგვიყვანს. პროლეტარულ მაშვრალთა ამოძრავება მათივე გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ყოველი საზოგადოებრივი კლასი თუ სოციალისტური ჯგუფი, რომელიც კი მოისურვებს შეაჩეროს რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობა და მიღრიჯოს იგი იქით, საითაც მოისურვებს, დამარცხებულთა ლეგიონს გაამრავლებს, ცხოვრება მყისვე მოსპობს მათ და მათ იდეოლოგიასაც. ასე დაემართათ რუსეთში ბურჟუაზიულ კლასებს და ეგრეთ წოდებულს მემარჯვნე სოციალისტებს.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციას სურს ევროპის ახალი რუქა გამოსჭრას, მასა სურს საზოგადოებრივ ცხოვრებას ყველა ქვეყნებში მისცეს თავის სურვილისამებრ წინადვე დასახული ფორმა, მასა სურს გადაეღობოს რევოლიუციის ტალღებს და შეაჩეროს მისი მსვლელობა. კონფერენციის წევრები გამოცდილი პოლიტიკოსები არიან და დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ამ მიზნის ასრულება მათთვის შეუძლებელია, ისინი მსოფლიოს ჩარხს უკუღმა ვერ გადაატრიალებენ და მათ კონფერენციას ისეთივე შედეგი ექნება, როგორც მოსკოვის ბურჟუაზიულ ყრილობას ან პეტერბურგის დემოკრატიულ ყრილობას კერენსკის დროს რომ გაიმართა. ისინი საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებას ალბად ინსტქტიურად გრძნობენ, მაგრამ თუ ჯიქობენ და გზას არ აძლევენ სოციალურ რევოლიუციის ძლევამოსილ მსვლელობას ეს ბურჟუაზიული ჯიუტობის ბრალია. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ ევროპის პოლიტიკოსებს გარდა ბურჟუაზიულ ჯიუტობისა ზურგს უმაგრებს კიდევ ერთი მოსაზრება. ისინი ხედავენ რომ ევროპის ერებში სხვადასხვა ალაგას ფეთქილ რევოლიუციას აქვს მხოლოდ გარეგნული სახე, ე. ი. იგი გამოწვეულია ხანგრძლივი გაჭირვების მიერ და აქვს სტიქიური ხასიათი; იგი არ არის პროლეტარიატის ფსიხოლოგიური განვითარების აუცილებელი შედეგი. მათ სწამთ, რომ ევროპაში არ ხდება რევოლიუცია სულისა, არ ხდება ფსიხიური გარდაქმნა მუშათა აზროვნებისა. ის ვინც რევოლიუციონურ დროშის ქვეშა სდგას, ვისაც მიუკრავს სოციალისტური იარლიკი, პირმშო შვილია ბურჟუაზიული წრეებისა. ბურჟუაზიულ მორალზე აღზრდილნი ბურჟუაზიისავე იდეოლოგებათ გამოდიან. სოციალისტური სახელით ბურჟუაზიის საქმეებს აკეთებენ. ამის საუკეთესო ილიუსტრაციად მათ ქართველი სოციალ-დემოკრატები ჰყავთ, რომელნიც ამ შემთხვევაში ტიპიური ბურჟუაზიული აზროვეების შვილები არიან. ეს გარემოება უმაგრებთ მათ ზურგს და იმ იმედით, რომ „მუშების და გლეხ-კაცთა მთავრობები“ დროული მოვლენაა, ჰკეტავენ იგინი ევროპისკენ მიმავალ გზებს, რათა „მავნე“ გავლენა აღმოსავლეთ ევროპის გამოღვიძებულ მუშათა კლასისა არ გადაედოს დასავლეთ ევროპის მშრომელთა წრეებს. მართლაც ბურჟუაზიული ბლოკადა ცენტრალურ ევროპაში ჩინებულად არის მოწყობილი. არამც თუ თავისუფალი აზრი უბრალო საიმფორმაციო ცნობებიც იშვიათად გადადის ერთი სახელმწიფოდან მეორეში. ამ კარჩაკეტილობით სურთ გაბატონებულ წრეებს დაიცვან სიმშვიდე და თავის პრივილეგიურ მდგომარეობას ნირი არ შეუშალონ. მაგრამ ხელოვნური კარჩაკეტილობა ხომ უსუსური ზომებია ბუნებრივ განვითარების წინაალმდეგ. როგორც უნდა დაირაზმოს ბურჟუაზია, რაც უნდა სასტიკი ზომებით დაიცვას პოლიტიკური „სიმშვიდე“ „გამარჯვებულ ქვეყნებში“, გინდ ცეცხლის კოცონებით მოჰფინოს ევროპის არე-მარე, ისტორიულ პროცესის მსვლელობის შეჩერებას ვერ შესძლებს იგი. დაწყებულ რევოლიუციას ბუნებრივი დასასრული უნდა მიეცეს და თუ დღეს არა ხვალ განგება მსოფლიო რევოლიუციის წინაშე დაგვაყენებს. ბურჟუაზიულმა წრეებმა უნდა დაჰყაროონ ხელიდან პოლიტიკური სადავეები და სახელმწიფოებრივმა პრინციპმა უნდა ადგილი დაუთმოს შრომის პრინციპზე დამყარებულს პროფესიონალურ ჯგუფების და კავშირების ორგანიზაციებს. სახელმწიფოებრივი აპარატების მაგიერ უნდა შეიქმნას მშრომელ გლეხკაცთა და მუშათა გამგეობანი.

ზოგს სასოწარკვეთილებაში აგდებს ის გარემოება, რომ რევოლიუციონური ტალღა დაგორავს დღემდე მხოლოდ ყოფილ რუსეთის და გერმანიის ტერიტორიაზე, რომ ამ ტალღის შეეფებიც კი გადასროლილა საფრანგეთის და ინგლისის მშრომელთა წრეებში. აქ შიში უსაფუძვლოა. პროლეტარიატი „გამარჯვებულ ქვეყნებში“ მხოლოდ დროებით მთვრალია მსოფლიო ომში გამარჯვე-

დროებითმა მთავრობამ, მან ჯერ ნდობა დაჰკარგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში, იქ ბოლშევიკები გაბატონდენ, ცხადია მთავრობის ახსასრულის დღეც დადგა. ამ დროს ახლოვდება დამფუძნებელი კრების მოწვევის დღე, ყველა პარტიები ირაზმებიან და საერთო ფერხულში ბოლშევიკებიც ერევიან. ჩვენ არ ვიცით რა ?იზნებს ისახავდენ ამ დროს ბოლშევიკები, რადგან იქ ბურჟუაზიასთან მეომარი აქ დამფუძნებელ კრებაში ერთად აპიროპს გასვლას, ალბად იმედი ჰქონდათ რომ არჩევნებზე გაიმარჯვებდენ დამფუძნებელი კრება დააკანონებდა, რომ მთელი ძალა-უფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში გადავა და ამით მათ მიზანი „პროლეტარიადის დიქტატურა“ მიხწეული იქნებოდა, მაგრამ ეს იმედი გაცრუვდა. არჩევნებმა ბურჟუაზიას და მის მოკავშირე სოციალისტებს მისცა გამარჯვების გვირგვინი. აქ ბოლშევიკები ორი გზის წინაშე იდგენ: პირველი იყო უხმო დამორჩილება დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობათა წინაშე და ან საკუთარ ძალაზე დამყარება და ძალით აღება ხელში სახელმწიფოებრივი აპარატისა. ბოლშევიკებმაც უკანასკნელი არჩიეს, როგორც ჭეშმარიტი რევოლიუციონურ - სოციალისტური გზა. მათ განკარგულებაში იყო მთელი ჯარი და შეგნებული პროლეტარიატი, ცხადია გამარჯვება უზრუნველყოფილია. ბოლშევიკებმა ერთი დიდი გამჭრიახობა გამოიჩინეს, მათ მიუხედავათ იმისა, რომ დამფუძნებელი კრება უმცირესობაში სტოვებდა, მაინც აკალეს მას შეკრება, აკალეს მიწის საკითხის გადაწყვეტა „სოციალიზაციის“ სახით. მანვე დაკანონა რუსეთის მომავალი წყობილება ფედერატიულ ნსადაგზე და მერმეთ კი დამფუძნებელი კრება თავისთავს მიაბრძანა, რადგან იცოდენ, რომ მშრომელი ხალხი ისეთი შემადგენლობის დამფუძნებელ კრებიდან მეტს ვერაფერს მიიღებდა. დაემხო დროებითი მთავრობა და მთელი ძალა-უფლება გადავიდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში და შეუდგა სახელმწიფოებრივ შემოქმედების სახალხო კომისრების სახით. უცოდველნი არც ბოლშევიკები აღმოჩნდენ. ვერც მათ აასრულეს ის დაპირებანი, რითაც ხალხის გული მოისყიდეს, მაგალითად ეროვნული თავისუფლება დეკრეტად დარჩა ქაღალდზე დაწერილი და მისი ცხოვრებაში რეალურათ გატარედაზე არავის არ უზრუნვია, პარიქით ზოგიერთ ჯერ მას წინაც გადაეღობენვ გერმანელებთან ბრესტ-ლისტოვკის ზავის შეკვრის დროს გულუხოვობა გამოიჩინეს სხვა ერის საკუთრების გაცემაში და ამით ამ ერის სიძულვილი დაიმსახურეს, მესამედ თავის იდეების გატარება სხვა ერებში მოინდომეს გარეშე ძალით და ამით მას ეროყნული ბრძოლის ხასიათი მისცეს, რაც შეეხება იმას, რომ მათ რუსეთში სოციალიზმი ვერ განახორციელეს, რასაც ხშირად აყვედრიან მოწინააღმდეგენი, ეს უსაფუძვლო ბრალდებაა. სოციალიზმი ის ვაშლი კი არ არის რომ ხეზე დამწიფდება და მისით მოსწყდება, არამედ ის ნაყოფია მედგარი ბრძოლის და გამარჯვების. სწორეთ ამ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ბოლშევიზმი არა მარტო შიგნითი მტრების წინააღმდეგ, არამედ მთელ იმპერიალისტურ ევროპის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა დღესაც სწარმოებს, აი ამ ბრძოლაში გამარჯვებრლმა ბოლშევიზმა, რომ ვერ მოგვცეს სოციალიზმი მაშინ გვეთქმის მათ შესახებ საყვედური, მანამ კი სოციალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ ბოლშევიზმის განვითარებას, იმდენათ, რამდენათაც მას მიზნათ დაუსახავს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის გაღვივება. მან მაგალითი მისცა გერმანიის, უნგრეთის და სხვა ქვეყნის მუშათა კლასს, თუ როგორ უნდა ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მართალია რუსეთში ბოლშევიზმი ფართო მასსამ გლახათ გაიგო და ის ყაჩაღობის მოძღვრებათ მიიღო, მაგრამ ეს რევოლიუციის ნაპერწკლის ბრალი იყო, ეხლა კი ბურუსი თანდათან იფანტება და ბოლშევიზმი ნამდვილ სოციალისტურ მოძრაობის სახეს ღებულობს. მაგრამ მათვის უსათუოთ საქიროა მეტი სიფრთხილით მოეპყრან ერის უზენაეს უფლებას, რომ ამით თყით ამ ერთა პატივი დაიმსახურონ.

კერძოთ საქართველოში დღეს არ არის ბოლშევიკური მოძრაობა და რევოლიუციაც დათავებულია, ბოლშევიკებს თვით მიუძღვით ამაში ბრალი, რადგან ამის შემოტანას ერთი მხრით ლამობდენ გარეშე ძალის მეოხებით, მეორე მხრით რაც საქართველოში ყაჩაღები იყო ყველა „ბოლშევიკათ“ მოიხათლა და ამით მისი სახელი შეურაცხყო და ყაჩაღური ფერი გადააკრა, ამან გამოიწვია ანტიბოლშევიკური მოძრაობა ხალხში და ისეთი უნიადაგო ბოლშევიზმი, როგორიც იყო საქართველოში მალე დაინგრა. სოციალისტური მოძრაობა საქართველოში ჩვენი აზრით ჩინელების ბანდებმა და რუსის „ბოსიავკებმა“ კი არ უნდა შემოიტანონ ტ რას შემოიტანებენ გარდა თავის გარყვნილ პროფესიისა. როდესაც მათ ამის გარდა არაფერი გააჩნიათ, არამედ ეს მოძრაობა უნდა იყოს შიგნითი მოძრაობა, უნდა იყოს ამოძახილი თვით ქართველი ერისა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება სოციალისტურ მოძრაობას სმქართველოში წმინდა ხასიათი და სახე. სხვაგვარათ კი შეუძლებელია. ჩვენც იმედი გვაქვს, რომ დღეს მიძინებული ქართველი ერი გამოფხიზლდება და თავის ტოლ და უფროს ამაანაგებს უკან არ ჩამორჩება და თავის წვლილსაც მიიტანს საერთაშორისო ჭეშმარიტების დაგვირგვინებაში.

ჩვენ კი რომელიც რევოლიუციონურ სინდიკალიზმის ურყევ პრინციპებზე ვდგევართ, ბოლშევიზმს ვაღიარებთ, რაგორც სოციალიზმის მებრძოლს და რადგან ეს რევოლიუცია ორივეს გვესმის სოციალისტურ რევოლიუციის დასაწყისათ, ამიტომ აქ ჩვენი შეთანხმება საჭიროც არას და სავალდებულოც, მართალია საბოლოო მიზნის ფორმები სხვადასხვა გვარათ გვესმის, მაგრამ ხელს არ უშლის შეთანხმებას, ეს მომავლის საქმეა, ისიც მართალია, რომ ჩვენი იარაღი სოციალიზმის მისახწევათ სინდიკატებია, მაგრამ დღეს რაკი რევოლიუცია დაწყებულია და მოთმინებას არ ითხოვს, საჭიროა ამ რევოლიუციის გაღრმავება და სინდიკატები კი დეე თვით ამ რევოლიუციამ შექმნას თავის სოციალისტურ მოძრაობაში.

დათიკო ვ—კი.

გაქოს პროლეტარიატი,

ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ხშირად გაისმის ადგილობრივი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიეაის ორგანოებში ბაიოს პროლეტარიატის დახასიათება. უნდა აღინიშნოს ისეც რო ეს პოლიტიკოსები მუდმივ მათ უარყოფითი მხარეებს უფრო აქცევენ ყურადღებას და რა თქსა უნდა ამ უკანასკნელ გაფიცვასაც შენცდებიან დაუკარგონ ნამდვილი მნიშვნელობა ჩვენ კი შეეცდებით აბიეკტიურათ შევეხოთ საკითხს და გავაშუქოთ როგორც დადებითი ისე (თუ აქვს მას) უარყოფითი მხარეები. სირთული მომენტისა გვიკარნახებს თვალყური ვადევნოთ ყველა კუთხის მუშათა მოძრაობას და გავაშუქოთ ის რევოლიუციონური თვალ საზრისი. რუსეთში ანათებდა რევოლიუციის ცეცხლი ედება მთელ ქვეყნიერებას. ირაზმება ევროპის პროლეტარიატი სოციალურ რევოლიუციის წითელ დროშის ქვეშ რა თქმა უნდა მუშათა კლასის გაერთიანებას და რევოლიუციონურ წინსვლელობას, როგორც მოსალოდნელი იყო აღუდგა წინ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია და მიმართა მთელი თავისი ძალღონე რევოლიუციის აკვანის დასანგრევათ. შეგნებულათ იქცევა ბურჟუაზია, მან თუ შესძლო და დაამარცხა რევოლიუციის ბუდე და აკვანი რუსეთი, მაშინ რევოლიუციის გბნვითარებას ბოლო მოეღება. ბურჟუაზია არ დაჯერდება რევოლიუციის დამარცხებით იხ შეეცდება შექმნას ისეთი პირობები რომელიც რევოლიუციონურ სოციალიზმის განხორციელებას თუ სამუდამოდ არა მაინც ას წლობით დაგვაშორებენ. ბურჟუაზია კი დღეს საგრძნობ ძალას წარმოადგენს. იმპერიალისტური ინგლისი ნამდვილი წარმომადგენელია შავრაზმულ ბურჟუაზიისა. მას მიზნად აქგს რკინის რკალი შემოარტყას რევოლიუციონურ რუსეთს, შეაჩეროს იქ პროლეტარული წარმოების გამვითარება, მეხანიკურათ შექმნა აუტალი პირობები და ამით სახელი გაუტეხოს საერთოთ პროლეტარიატს შემოქმედებითი ინიციატივას. ეს შავი ზრახვანი იმპერიალისტური ინგლისისა აშკარა შეიქნა ბაქოს პროლეტარნატისთვის მაშინ, როდესაც ინგლისმა არ დართო სათბობი მასალის ასტრახანში წაღების ნება. იბადება საკითხი: რა უნდა ექნა ბაქოს პროლეტარიატს? მას ორი გზა ქონდა ყურ მოჭრილი მონობა და ლაქიობა ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე ანუ ბრძოლა რეაქციასთან. მან პირ და პირ პასუხი გასცა, პასუხი პროლეტარული, პასუხი რევოლიუციონური. დიადი ღირებულება ბაქოს მუშათა გაფიცვისა გამოიხატება იმაში, რომ მან აგრძნობა შავრაზმულ ბურჟუაზიას რომ არ არის მარტო რუსეთის პროლეტარიატი არამედ რევოლიციონურ რუსეთის პროლეტსრიატთან არის ყოველი შეგნებული მუშა და ის არავის არ მისცემს შავ განზრახვების სისრულეში მოყვანის უფლებას. შესაძლებელია ბაქოს მუშათა გაფიცვა დამარცხდეს, შესაძლესელია ბაქოში შავმა რეაქციამ გაიმარჯვოს, მაგრამ ის მორალური მოვლენა რომელსაც მოახდენს ბაქოს მუშათა გაფიცვა საგრძნობი იქნება საერთაშორისო პროლეტარიატის დაუყოვნებლივ შეკავშირებისათვის, შეკავშირებულ ბურჟუაზიასთან საბძოლველათ.

პ. ოტიასძე.

დენიკინის ჯარში

ეკატერინოდარიდან 11 დღის წინათ გამოსულმა პირმა შემდეგი გვიამბო: ამ ჟამად მოხალისეთა ჯარი ცუდ დღეში არის ჩავარდნილი—ყოველის მხრით მათ შემორტყმული ყავთ ბოლშევიკების ჯარი.

დეიკინი ეკატერინოდარში არის და იქიდან არსად არ წასულა. ხმები თითქოს ბათუმში ჩამოსულიყო, სიყალბეა. გენერლებში დიდი ინტრიგაა გამეფებული, მოსალოდნელია დენიკინის გადაყენება. მის ადგილას ასახელებენ ვრანგელს და ლუკომსკის. მოხალისეთა ჯარში დაიწყო მასსიური დეზერტირობა. დონის ატამან ბოგაევსკის ოფიც. განცხადებით „სამხედრო ოკრუგის“ კრებაზე, ასი ათასიანი ჯარიდან, რომელიც დონის ფრონტზე უნდა იბრჭოდეს, მხოლოდ ერთი მეხუთედი ღა დარჩა ფრონტზე, დანარჩენები გაიპარენ. ამის გამო გამოცხადდა ბრძანება დეზერტირების სიკვდილის დასჯის შესახებ. ყოველ დღე ქუჩებში გაკრულია მასხიურათ დახვრეტილთა სიები. მოხალისეებს ორი იმედი კიდევ ასულდგმულებს: ერთი იმედია კოლჩაკი, რომლის გამარჯვების იმედი აქვთ და მეორე, თუ ეს არ მოხდა და როსტოვი და ნოვოჩერკასკი ბალშევიკებმა აიღეს, აზრათ აქვთ ფრონტი გაარღვიონ ცარიცინის გზით კოლჩაკისკენ გადაიდენ, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ოცნებაა. აგრეთვე მოსალოდნელია დამარცხებული მოხალისენი ჩვენსკენაც დაიძვრნენ.

მდგომარეობა მათი პურის მხრით კარგია. მაგალითად, ეკატერინოდარში პური ფასობს ფუთი 60 მან. როსტოვში 180 მ., არმავირში—50 მან. და საკმაოთაც იშოვება, დანარჩენი არაფერი არ იშოვება. მაუფაქტრრა გაცილებით უფრო ძვირია. შაქარი გირვანქა 60 მანეთი ფასობს. ყველ პროფესიონალური და პოლიტიკური მუშათა ორგანიზაციები, რასაკვირველია, გაუქმებული. მოკავშირენი მოხალისეებს სამხედრო იარაღით ეხმარებიან, მაგრამ ცოცხალ ძალას არ აძლევენ. მაგალითად, ამ დღეებში ეკატერინოდარში მოხალისეებმა მოკავშირეთაგან მიიღეს 8 ცალი ,,ტანკი'', მაგრამ ინსტრუქტორები არ მისცეს და ,,ტანკებიც'' მოუხმარებლათ გდია.

რუსი შოფერები სანდონი არ არიან. იყო შემთხვევა, როცა ორი ,,ტანკი'' ბალშევიკებისაკენ გადავიდა ასეთი შოფერების შემწეობით.

ქართველებს ძლიერ ცუდათ ეპყრობიან მოხალისენი. ადგილი აქვს აგრეთვე პროვაკაციას სომხებსა და ქართველებს ჭორის. ბათუმსა და ნოვოროსსიის შორის გემების მიმოსვლა სწარმოებს. ლტოლვილებს ყუბაში აღარ აყენებენ, რომლებიც ჩვენსკენ მოდიან. ესენი არიან ბერძნებიპ სომხები და სხვ. უკანასკნელ დროს სომეხ ლტოლვილებს აღარ უშვებენ, ისინი ჯარში გაყავთ.

,,ერთობა''.

გერმანული ბრესის ცნობა

ვერსალიდან მიღებულ ცნობები გერმანიის წარმომადგენლებს საზავო პირობები გადასცეს ტრიანონის სასახლეში მაისის 7 შუადღის 3 საათზე. კონგრესის გახსნისას კლემანსოს მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გრაფ მა ბროკდორფ რანტცაუმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონებო! ჩვენ მოხარული ვართ, როა დაგვაკისრეს ისეთი დიდი საზეიმო საქმე, რომელმაც ერთ ალაგას შეგვყარა, მთელ ქვეყანას რაც შეიძლება ხქარა მივეცით მტკიცე ზავი. ჩვენ სრულებით არ ვატყიებთ ჩვენ თავს და არ ვმალავთ ჩვენ დიდ დამარცხებას და ჩვენი ძალების უკიდურეს სისუსტეს. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის სამხედრო ძალა განადგურეაულია. ჩვენ კარგათ ვგრძნოათ იმ სიძულვილის ძალას, რომელიც აქ გარს გვარტყია. ჩვენ მოვისმინეთ პათეტიური მოთხოვნილება, რომ გამარჯვებულებმა ჩვენ უნდა გაგეასამართლონ არა მარტო როგორც დამარცხებული მტერი, არამედ როგორც დამნაშავენი.

ჩვენ სრულებით არ გვინდა იმის თქვა, რომ მსოფლიო ომი დაიწყო. (გამოტოვებულია)...გერმანია, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ის მოგერიებითი ომს აწარმოებდა, დამნაშავე არ არის. არავის ჩვენთაგანს არ სურს იმის მტკიცება, რომ შეცდომა ჩადენილი იქმნა იმ საბედისწეროა ჟამს, როდესაც ავსტრია უნგრეთის ტახტის მემკვიდრე მოჰკლეს. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ევროპის ყველა სახელმწიფოებში—ერიალიზმი ბატონდა პოლიტიკურ რევანში საერთაშორისო მდგომარეობას გავლენის სფეროთა გაფართოვების პოლიტიკა და ის გარემოება, რომ სხვა დასხვა ხალხის არ აძლევდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ხელს უწყობდა იმ უბედურ მდგომარეობის შექმნას, რომელსაც, უაღრესად გაწყვეტების შემდეგ მსოფლიო ომი მოჰყვა, რუსეთის მობილიზაციამ საშუალება მოუსპო სახელმწიფო პირებს მდგომარეობა გამოესწორებიათ და უთანხმოების გადაწყვეტა იარაღს მიანდო.

სიტყვის თავისუფლება საქართველოში.

„ავი კაცი აღდგომასაც ავია“..

ხალხური.

მეტად საზიზღარი და უხეში ძალადობაა ჩაიდინა პროფესიონალურ კავშირების თავმჯდომარემ მუშათა ბრწყინვალე დღესასწაულს, მუშა საერთო ზეიმის დროს! ჩვენთვის ეს რომ სხვას ექნა, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოსულიყვნენ სულ სხვები, მაშინ ეს გასაგები იქნეაოდა და მათ ჯეროვან პასუხსაც გავსცემდით. მაგრამ როდესაც ამას სჩადის ასე თუ ისე შეგნებული პიროვნება, როდესაც მუშათა კლასის და რევოლიუციის მონაპოვარს ფეხ-ქვეშ სთელავს თვითონ მუშა და მით უმეტეს, პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე და მისივე წარმომადგენელი, რომელიც თითქოს მშობილია დაიცვას ინტერესები მშრომელა ხალხის, რომ განამტკიცოს უზენაესობა ისეთი დიდი და საღი ჭეშმარიტების, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, იგი პირველ მაისს პირველი გამოვიდა წინააღმდეგ ამ ძვირფასი რევოლიუციის მიერ სისხლით მონაპოვარი უფლებისა და ამით შავი აჩრდილი მიაყენა რევოლიუციის ძვირფას სახეს! აი რაში იყო საქმე; როდესაც მუშათა პროცესია დადგა დახოცილ ამხანაგების საფლავებთან და გაიმართა მიტინგი რევოლიუციონურ სინდიკალისტთა კავშირმა მოითხოვა მისთვისაც დაეთმოთ მხოლოდ ერთი სიტყვა, რაიც პრეზიდიუმმა, როგორც იყო შეასრულა და კავშირის წარმომადგენელს ასეთი მიაკუთვნეს, ისიც ყველაზე ბოლოს, მერვე სიტყვა (სულ რვა კაცი იყო ჩაწერილი). ილაპარაკეს, გარდა ერთი სოც.-ფედ. და ერთიც სოც.-რევ., ყველა მენშევიკებმა და თავისებურად დაახასიათეს მომენტიცა და მუშათა საკითხი, მოუწოდეს მუშებს, რომ მომავალშიც სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ზურგი გაუმაგრონ კენჭებით, დეპუტატებით და ყველაფერს მოგცემთ ჩვენაო. აი მოკლედ მთელი მათი სალაპარაკო მასალა, მიმართულება იმათი ნალაპარაკევისა და დასკვნაც ეს იყო და ეს. როგორც იყო ველირსეთ და გადავრჩით მოთავებას ორატორთა სიის. შეთანხმებისამებრ მერვე კანდიდატი ჩვენი იყო, რომელიც ჩაწერილიც კი ჰყავდა ბ. ხელაძეს პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარეს, მაგრამ სწორედ ამ დროს საიდანაც გამოაძვრინეს ალ. ლომთათიძის რეზოლიუცია. მისი წაკითხვამდისვგავფრთხილეთ თავმჯდომარე და ისიც შეგვპირდა რომ ცოტას თუ მოვიცდიდით რეზოლიუციის კენჭის ყრის შემდეგ სიტყვას მოგვცემდა. მეტი გზა არ იყო, რომ საზოგადოებრივი სულიერი განწყობილება არ დაგვირღვია, ამ ხელაც დავთამხდით. რეზოლიუციას კენჭი უყარეს და ამის

შემდეგ ბ. ხელაძე იძახის „და ზდრავსტვუეტ ,ერვოე მაი“-ო და მიტინგიც დახურულად გამოაცხადა. ჩვენ ისევ გავახსენეთ რომ ჩვენც გვეთქვა ჩვენი სიტყვა მუშა ხალხისთვის, მაგრამ აქ ბ. ხელაძემ, რაღაც ისეთი იგრძნო, რომელიც ალბათ მის მენშევიკურ შეგნებას ცეცხლზე წყალს დაუსხამდა და ის გადახტა ტრიბუნიდან და იქაურობას განშორდა. ტრიბუნაზე ავიდა ჩვენი ამხანაგი მუშა ბესო ქელბაქიანი და მუშებს მოუწოდა მოესმინათ მისი სიტყვაც. ჩვენდა სასიხარულოდ უნრა ითქვას, რომ თითქმის არც ერთი მუშა არ წასულა და არც ერთი დროშა არ შერხეულა ალაგიდან, მაგრამ აქ მეორე მენშევიკი ავარდა ტრიბუნაზე და ხალხს გადასძახა: დაშლილიყვენ! ხალხი მაინც არ იშლებოთა, პირიქით დაჟინებით მოითხოვდენ მიეცათ საშუალება ქელბაქიანისთვის განეგრძო სიტყვა! მაგრამ აქ უკვე სხვა შეიარაღებული მენშევიკები ჩაერივნენ და პირდაპირ წინადადება მოგვცეს თუ არ წავიდოდით, გა. გვლახავდნენ, დაგვხრეტდენ და სხვა ისეთივე ძალადობა, როგორიც საზოგადოდ მიღებული აქვთ ამ „სოციალისტებს“. ერთმა ისიც კი გვიბრძანა (გვარდიელმა) საქართველოს მთავრობა გიბრძანებთ დაიშალოთო! ზღვა ხალხი ღელავდა, ყველანი აღშფოდენ, მაგრამ მენშევიკებმა მაინც თავისი განაგრძეს. შემთხვევით მაგიდაზე, სადაც ობლად გაჩერებულ ამხ, ქელბაქიანს მენშევიკური ტალღა წალეკას უქადიდა, ავიდა სოც.-ფედერალისტი ვ. კოტეიშვილი ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ იგი შორს გადაისროლეს და კინაღამ წალეკა ხალხმა, ვინ უწყის სანამდის გაგრძელდებოდა ეს, მაგრამ შეიარაღებულ ხალხის ჩარევამ, მილიციის „დაფაცურებამ“ თავისი გაიტანა და ჩვენ ამხანაგს მაგიდა გადაუბრუნეს და საცემრად სწვდენ. ძლივს ამხანაგი ხელიდან გამოვგლიჯეთ „მოზეიმე“ მენშევიკებს და ასე დაფლეთას გადავარჩინეთ ერთი საუკეთესო მუშა. მენშევიკებს შეუძლიათ იამაყონ ბ. ხელაძის საქციელით და სხვების გრწყინვალე გამოსვლით. მათ შეუძლათ სინიდისი დამშვიდებით ქონდეთ ამ უმაგალითო მუშების სასახელო მოქმედებით, მაგრამ ის ვინც ელაესწრო ამ მოვლენას, დაგვეთანხმება, რომ ყოველივე რაიცა ვიხილიეთ პირველ მაისს ამ მუშურ დღესასწაულზე ერთხელ კიდევ გვეუბნება იმ საშინელ სულის შემხუთავ მენშევიკურ ატმოსფერაზე, რომელიც სამწუხაროდ გარს ახვევია დღეს მუშათა კლასს. სწორედ ამ მოვლენის რამოდენიმე წუთის წინ გვეუბნებოდენ მენშევიკი ორატორები სიტყვის თავნსუფლების შესახებ, მაგრამ როდესაც მუშასავე სიტყვა უნდა ეთქვა მუშათა კლასისთვის სულ სხვა თვალსაზრისით ასე დაადუმეს და გაუმასპინძლდენ იმ ხერხით, რომელსაც რუსეთში ,,სამოსუდ‘‘ს ეძახიან. და იქნება იკითხო მკითხველო, რომ ჩვენ ვიღაც საშინელები ვართ, შავრაზმელები ან სხვა რაიმე მსგავსი? სრულებითაც არა ,,მუშები‘‘ მენშევიკები გამოვიდენ წინააღმდეგვე მუშებისა!

ასე დიდია სიყვარული ძალა-უფლებისადმი, ასეთს ფარგლებშია დაცული სიტყვის თავისუფლება დემოკრატიულ საქართველოში, რომელსაც ასე მშვენივრად ანხორციელებს თავმჯდომარე პროფესიონალურ კავშის ბ. ხელაძე...

გვცემეთ ბარემ! აი პასუხი.

დამსწრე.

———

სიტყვა ამხ. გ ჯანდიერის მიერ წარმოთქმული ქუთაისის მიტინგზე.

(პირველ მაისს)

ქვეყნის მადლო და მარილო, ცხოვრების შემქნელო და დედაბოძო, ხალხის მკვებარო და მარჩენელო, ამხანაგო მუშა-მაშვრალნო! თქვენ ყველამ უწყით. რომ პირველყოფილ საზოგადოების დარღვევიდან და ხალხის კლასებად დაყოფვიდან ბატონებად და მონებად, მესაკუთრედ და პროლეტარად, მდიდრებად და ღატაკებად, მუშა-მაშვრალებად და მუქთა-ხორებად, მბრძანებლებად და აღმასრულებლებად, ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის დაიბადა და დამყარდა შეურიგებელი მტრობა, ბრძოლა და ანტოგონიზმი.

თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ამ გაბატონებულთა კლასმა თქვენის წინაპრების და თვით თქვენ დასამონავებლად, დასაბეჩავებლად და საყვლეფად—შეჰქმნა თავისი ბატონობის ინსტიტუტები: უფლება, კანონი, საკუთრება, ფული და სხვა და ყველა ამათ შესანარჩუნებლად და დასაცავად კი—სახელმწიფო, ხელმწიფე, პარლამენტი, დეპუტატი, ჯარი, პოლიცია, მოხელე, მღვდელი, ჯალათი, ციხე, კატორღა, ციმბირი, სარჩობელა და გონებრივი სიბნელე, რომელთა ძალა-შემწეობით დღევანდლამდე მათ დამონებულები ჰყევხართ თქვენ, მაშვრალო ხალხო და წამებულნო მუშაკნო, ბუნებისაგან კაცთაშორის კაცად შობილნო, მაგრამ ჯერაც კაცად არ მიჩნეულნო.

თქვენ ისიც იცით, თუ მაშვრალი ხალხი, ე. ი. მუშათა კლასი უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში ამ გაბატონებულ კლასისაგან რას განიცდიდა და როგორ იბრძოდა, რომ კაცად ვქცეულიყავით, აგრამ თუ მუშათა კლასს დღევანდლამდესაც კი ამისთვის ვერ მიუხწევია და დღესაც ეკონომიურ მონის უღელი ადგია და ჰქმნის რა სხვებისთვის ქვეყნის მთელ სიმდიდრეს და თვითონ კი შიშველ-ტიტველ, მშიერ-მწყურვალ მონად დაიარება, ამის მიზეზია ჩვენი შეუგნებლობა, უნიციატივობა, გაზვიადებული შიში და უმთავრესად კი ჩვენი უორგანიზაციობა და შეუკავშირებლობა. წარსული საუკუნის ნახევრებში ევროპის მრავალ რევოლიუციებში გამოცდილმა და გამობრძმედილმა პროლეტარიატმა იგრძნო რა ეს და თანაც ღრმად დარწმუნდა რა იმაში, რომ მუშათა კლასს თავის გასანთავისუფლებლად იმედი არ უნდა ქონდეს არც ხელმწიფის. არც ბატონის, არც სახელმწიფოსი, არც პარლამენტის და არც მის კანონმღებლობა-მფარველობის და მივიდა რა იმ დასკვნამდე, რომ არასოდეს არც ერთ ჯურა მებატონეს არც წინად და არც ეხლა თავისი ნებით არ დაუტოვებია თავის ბატონობის უფლება და ტახტი—გადასწყვიტა დაეარსებინა თავისი წმინდა მუშური ორგანიზაცია, რომელიც შეაკავშირებდა მთელი ქვეყნის და ერთა მუშათა კლასს და უწინამძღვრებდა მათ განთავისუფლების საქმეს. ამ მიზნით გასული საუკუნის ნახევარში, მან დაისახა ეგრედ წოდებული პირველი რევოლიუციონური ინტერნაციონალი, რომელმაც მისცა მას, მუშათა კლასს დროშა აქტიური მოქმედებაბრძოლისა, რომელსაც ცეცხლის ასოებით წაწერა—„მუშათა განთავისუფლება მუშებისავე საქმეა“.

ამ დიდებული და ძლიერი ორგანიზაციის დაარსებამ თავზარი დასცა და შიშის ცახცახი მოჰგვარა მთელი ქვეყნის ხელმწიფე-ბატონთ, ბურჟუა-კაპიტალისტებს და ყველა სხვა ჯურის ხალხის მყვლეფელ-მჩაგვრელთა და სისხლის მწოველთა ბანაკებს, მხოლოდ მუშებში კი ამ დიადმა დევიზმა დაანთო სარევოლიუციო ბრძოლის ცეცხლი და როდესაც საფრანგეთის ბრძოლაში ნაწრთობმა პროლეტარიატმა 1871 წელს ჩამოჰკრა რევოლიუციის ზარი მილიტარისტულ-იმპერიალისტურ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოალიციამ მიაშურა რევოლიუციონურ პარიზს და ევროპის შეერთებულმა ბურჟუაზიამ გაელიტა კაცობრიობის ავანგარდი კომუნისტური რევოლიუციისა.—კომუნარები, კომუნა სისხლში ჩაახრჩო, სოციალიზმი და სოციალისტები ბასტილის მაგარ ციხეში გამოამწყვდია და მით თვით ინტერნაციონალს გულში ლახვარი ჩასცეს.

ამით შეშინებულმა ფსევდო ე. ი, ტყუილ სოციალისტებმაც ამის შემდეგ სოციალიზმი, სახელმწიფოს, არისტოკრატიული პლუტოკრატიული და დემოკრატიული ინტელიგენციის საქმედ დასახეს. რევოლიუციონური ინტერნაციონალი მოჰკლეს მაგრამ იდეია მისი—საერთაშორისო პროლეტარულ სოციალურ რევოლიუციისა არ მომკვდარა... მისი სულის ჩამდგმელნი ჩვენი თანამოაზრე წინაპარნი ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ და მილეტარისტულ სახელსწიფოთა გულში ხენ აქ ხან იქ მაინც აღვივებდნენ და ანთებდნენ რევოლიუციონურ კანონს. 1886 წელს 1 მაისს ამერიკის ანარქისტმა მუშებმა გამოაწყვეს და გამოაცხადეს საერთო სარევოლიუციო გაფიცვა ბურჟუაზიის წანააღმდეგ 8 საათი სამუშაო დღის მოსაპოვებლად; შეარაღებულმა მუშებმა შეანგრიეს ბურჟუაზიის კედლები, გაჩაღდა ქუჩებში ბრძოლა და დაიღვარა უმრავი სისხლი მებრძოლი მუშებისა, რომლითაც შეიღება ჩველი წმინდა ტანჯული, მაგრამ მუდამ უტეხი მებრძოლი, ჯერედ ისევ შავ ძაძებში შეხვეული, დროშა. სამაგიეროდ ამერიკის მუშებმა მოიპოვეს გამარჯვება, ე. ი. 8 ს. სამუშაო ღღე, რასაც ბრძოლაში დახოცილთა გარდა, მსხვერპლად შეეწირა და ზვარაკად გახდა სიცოცხლე ანარქისტების: შპიზისა, პარსონსისა, ენგელისა და ფიშერისა, რომლებიც ამერიკის რესპუბლიკანურმა მთავრობამ ვერაგულად ჩამოახრჩო, ლინგისა რომელმაც დინამიტიანი სიგარის მოწევით თავი თვითვე აიფეთქა, როცა ის სახრჩობელაზე აჰყავდათ და აგრეთვე ფილდენისა, შვაბსისა და ნეებესი, რომელთაც კატორღა გადაუწყვიტეს, თუმცა შემდეგ გამოირკვა მათი უდანაშაულობა და მთავრობის ვერაგობა.

ამრიგად, 8 საათის სამუშაო ღღე და ყაყოველთაო გაფიცვა ანარქისტების წმინდა სისხლით არის მონათლული და მოპოვებული, რომლის შემდეგ ეს მუშათა თვითმოქმედების იდეა გადმოვიდადა გავრცელდა ამერიკიდან ევროპაში და ჩვენშიაც პირველ მაისის ღღესასწაულთან ერთად.

ამ დიადი ისტორიული გამოსვლის და მუშათა თვითმოქმედების ნიშნად, მოსაგონრად, პატივსაცემად და სახელმძღვანელოდ ევროპის მუშათა ერთ-ერთ კონგრესზე დაწესდა ყოველ წლიური ღღესასწაული მუშათა კლასის პირველ მაისობა, ეს ნიშანი და გამომხატველი მთელი ქვეყნის მუშათა სოლიდარობა-კავშირისა.

ღღეს საქართველოს მუშათა კლასიც პოლიტიკურად და ეროვნულად განთავისუფლებული პირველად ღღეწასწაულობს ამ დიათ მუშათა ღღესასწაულს პირველი მაისისას. ღღეს პირველად თავისი თავისუფალი ეროვნული სახით სუთიერად შედის და უკავშირდება საერთაშორისო კავშირში, ინტერნაციონალს, რასაც ჩემის პირით გილოცავთ თქვენ, ამხანაგო მუშებო, ჩვენი ახლად ჩამოყალიბებული და ჯერედ ნორჩი „საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი“.

გილოცავთ, ამხ. მუშებო, მაგრამ თანაც რთ რამეს გისურვებთ და მოგიწოდებთ ეინაიდან თქვენ დღევანდლამდე დაქსაქსული იყავით სხვადასხვა მრავალ პოლიტიაურ, სოციალისტურ და არა სოციალისტურ ჯურის პარტიებშიაც კი, რომელთ; მთავარა მიზანი და დანიშნულება იყო და არას უმთავრესად პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება, სადაც თქვენ თქვენი პირველი მოვალეობა ხალხისა და ერის წინაშე პირნათლად და გმირულად შეასრულეთ და ღღეს ეს ყველასათვის საჭირო პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება ბრძოლით უკვე მოიპოვეთ, ღღეიდან თქვენი ვალია ჩამოყალიადეთ თქვენს წმინდა კლასიურ მუშურ ორგანიზაცია დარგებში, ე. ი. პროფესიონალურ სინდიკატებში და ამ სახით გაერთიანებული და შეკავშირებული საერთო შრომის კონფედერაციაში, გახდეთ წევრად და თანამშრომლად მოელი ქვეყნის იატერნიციონალურ კავშირისა.

ამას გისურვებთ და აქეთკენ მოგიწოდებთ, ამხანაგო მუშებო, იმიტომ, რომ პოლიტიკური და თუნდაც პოლიტიკურ-სოციალისტური პარტიები ჩვენ არ მიგვაჩნია წმინდა კლასიურ და სოციალისტურ ორგანიზაციებად, რადგან ყველა ჯურის ასეთ პარტიებში თავმოყრილია ფმების გულისთვის ყველა ჯურის ჭრელი ხალხი. რომელთა უმრავლესობას ამას იქით მეტადრე თქვენ მუშებთან და თქვენ კლასიურ ინტერესებთან აღარაფერი საერთო და სამეგობრო არ დარჩენიათ. პოლიტიკურ პარტიებში ყოფნა მუშათა შორის ჰბადაბს პარრიულ ფარატიკოსობას, ასუსტებს და ჩდილავს კლასიურ შეგნებას, აჩენს მუშათა შორის ანტოგონიზმს და მით ასუსტებს და არღვევს მათ სეერთო კლასიურ ფრონტსა და ძალას რითაც ძლიერ აშორებს მომავალი სოციალისტური კომუნისტური ცხოვრების და იდიალის განხორციელებას.

მაშ შორს თქვენგან ღღეის ამას იქით პარტიულად დაქსაქსვა, ფანატიზმი და ანტიგონიზმი!...

გაუმარჯოს თქვენ კლასიურ ერთობას!

გაუმარჯოს მუშათა რევოლირციონურ სინდიკატებს!..

გაუმარჯოს შრომის კავშირს!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს პირველ მაის და მის იდეას!

გაუსარჯოს კომუნისტერ სოციალიზმს!

გაგიმარჯოთ უქვენ ყველას!

გაგვიმარჯოს ჩვენც, საქართველოს რევოლ. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირს!.

———

იოსებ ოცხელის ხსოვნას.

(ორმოცის გამო*)

იგი—ყველასთვის საყვარელია.

არ არის ისეთი ახალგაზრდა მისი მოწაფე, რომლის გულსაც ლახვარივით არ მოხვდენოდეს იონების სიკვდილი. დიახ ყველას აგოსებს და აფიქრებს მისი ასე უეცრივ დაკარგვა; მისი, რომელიც თაფლის სანთელივით ეწირებოდა და დნებოდა მოწაფე ახალგაზდობის აღზრდის მოგვარებისათვის საქართველოში. არსად სკოლაში ისე არ ყოფილა დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე, როგორც ეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომლის უმთავრესი მიზეზიც თვით იოსები იყო. ვერავინ იტყვის იმას, რომ თუ სადმე შეიძლებოდა მიგეღო განვითარება კლასიურ ცოდნასთან ერთად ამ შემთხვევაშიც პირველი ადგილი ქართულ გიმნაზიას არ ჰკავებოდა. იოსების აღმზრდელობითი ხელი ძვირფასი იყო ყველა მის მოწაფისათვის. პირველი ნაპერწკლის დამნთებიც ბავშის სულის განვითარების სფეროში იგია. და არა ერთი და ორი მაგალითია, რომ მის მიერ დარიგებული მოწაფე ხშირად გონზე მოსულა და ისევ დაბრუნებია სწავლას ბეჯითად და მუყაითად. იოსები იშვიათი აღმზრდელი და პედაგოგი იყო არა მარტო ქართულ გიმნაზიისათვის, რომელიც ამ ჟამათ ობლობას განიცდის, არამედ ის ერთი პირველთაგანი იყო თვით ქართველ პედაგოგთა შორის, რომლის რჩევა და დარიგება ამ დარგში ნაყოფიერი და დიდი სასარგებლოც იყო. მაგრამ ყოველივე ამას უწყალო სიკვდილმა ბოლო მოუღო და ღღეს უკვე აღარ გვყავს ჩვენი ძვირფასი აღმზრდელი—იოსები. და განიცდის სასტიკ სიობლეს ქართული სკოლა მისი დაკარგვით. მწარე სინამკვილე, დიდია დანაკლისი, რომელიც ბედმა არგუნა ამ ამღზენებლობის ხანაში ქართულ სკოლას. იოსების ხელი შესანიშნავ-თ ასრულებდა მისგან ნაკისრ მოვალეობას. არა ნაკლებ საჭირო იყო მისი ხელი ღღეს, მაგრამ ეს არ დასცალდა გონებით მაღალს, გულით უხვს და სულით სპეტაკს ქურუმს ქართული სკოლისას.

ქართველ ახალგაზდობას და განსაკუთრებით ჩვენ მის აღზდილ მოწაფეებს ხელ-ახლავ გვიორკეცდება წყლული მისი დაკარგვით, მისი სიკვდილის ორმოცის თავზე და ერთხელ კიდევ მწარე ცრემლს ვაფრქვევთ ძვირფასი მასწავლებლის გაშორების გამო. მისი სახელი უკვფავი იქნება ყველა მის აღზრდილ მოწაფეთა შორის. ხოლო მისი საფლავი კი ჩვენს გულში გაითხარა, რომლის ხსოვნას და სიდიადეს მარად ვატარებთ ჩვენ, იქ ხელით უხლებ ხსოვნის კუნჭულში.

ივ. კანდელაკი.

———

ტფ. სრ. კონდუქტორების მდგომარეობა.

ბევრი დაბეჭდილა ამ—ისტორიაზე. შეიძლება ითქვას, უკიდურესი ფიზიკური სამუშეველი აღარ დარჩენილაო, მაგრამ ჩვენის აზრით არც ერთი დარგი იმაზე მეტი საძნელო სამუშეველი აღარ დარჩენილა როგორც ტრამვაის კონდუკტორების. მათ უხდებად მუშაობა როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. ვის შეუძლია ასწეროს ტრ. კონდუქტორების თავ-გადასავალი. სწორედ შესაფერი სახელიც დაურქმევიათ.

ტრამვაია, მართლაც რომ ვაია და უია, ვინმესაგან გაჯავრებული სახლში ან კიდევ სხვაგან მოვლიან კონდუქტორებს ეჩხუბებიან, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მას შემდეგ რაც ქალაქის ხელში ტრამვაი გადავიდა ხაზეინების გამოცნობა ძნელი შეიქნა. გაიხედამ და ვიღაცა ხელად გამოგიცხადებს მუშაობის დროს თავს ხაზეინად. საქმე რაშია! არ იცი თურმე ნუ იტყვი და ქალაქის თვით მართველობის ხმოსანია.

აღდგომას დილით, როცა კონდუქტორი ბერიძე პირველ მარშრუტზე მუშაობდა, ერთ შემთვრალ მოგზაურთან ჩხუბი მოუვიდა, როცა კონდუქტორს შემოჰკრეს იგიც იძლუებული იყო თავი დაეცო. თურმე ამ ვაგონში ბძანებულა ქალაქის ხმოსანი ბ. ქ-ძე არც თვით ქ—ძე ჩამორჩებოდა მგზავრს ნორმალურის მდგომარეობით. მან ამაყად მიაძახა კონდუქტორს შემოგკრეს რა უყოთ მე ხომ იცი ვინ ვარო?! როცა ამხანაგის წოდებით ტაუწყო ლაპარაკი მაშინ იმან უმფრო მოჭუხულის სახით მრისხანედ უყვირა ვინ არის შენი ამხანაგი, მე შენი ხაზეინი ვარ და თუ ვინებებ ხვალვე დაგითხოვთ! მაგრამ კონდუქტორმა ვეღარ აიტანა ზედმეტი დამცირება და მანაც სიტყვიერად გასცა პასუხი. აქ უფრო კიდევ მეტად გაცხარდა ხაზეინი და რომ უფრო მეტად გამოეჩინა ხალხში თავი მილიციონერს უბძანა კომისარიატში წაეყვანად თავხედი კონდუქტორი. მაგრამ როცა ვერც ეს მოიყვანა სისრულეში, მაშინ გაშოგდებით დაემუქრა.

მართლაც როცა კონდუქტორი დაიბარეს ქალაქის თავსაც მღელვარება ემჩნეოდა და მოწმების ჩვენებითაც იგი არსებითით მართალი იყო ბოლოს კონდუქტორმა ამცნო მე პროფესიონულ კავშირში ვიჩივლებ ჩვენი საქმეც იქ გაირჩევავო. ამაზე რა თქმა უნდა ქალაქის თავი არ დარჩა კმაყოფილი.

რა საჭიროა იქ საჩივარი საქმე ჩვენ უნდა გავარჩიოთო.

რას ნიშნავს ეს?! ცხადია ბურჟუაზის მესვეურები სცდილობენ მუშებს ხელიდან გამოაცალონ ყოველნაირი ძალა უფლებები: ასეთი არის მოკლე მიმხილვით კონდუქტორების თავ-გადასავალი.

და თუ უწინ ერთი „ხაზეინი‘‘ გვყავდა ღღეს, მის მაგიერ 90-თია და კიდევ რომ ჩვენმა პროფ. კავშირმა გარჩიოს ასეთი სამართალი ამისი არსებითად წინააღმდეგი არიან. ცხადია აქ ნათლად სჩანს სოციალისტურ პრინციპის ,,პოლიტიკას‘‘ უდებენ სარჩულად; მაგრამ ამას ჯერ კიდევ ვერ ხედავენ საერთოდ ჩვენი ამხანაგი მუშვბი. მაგრამ ანდაზათ რომ იტყვიან: ბრმას უთხუეს, ცოლის სიკვდილიო, რომ აღარ მიუწვება გვერდში ვეღარ მიხვდებაო.

მე ვფიქრობ ასე დაემართება ჩვენს მუშებსაც, რომ გამოაცლიან ყველაფერს ხელიდან გვიან გაიგებენ.

ევს. ნავარძელი

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი.